უცხოეთში ეცნობიან საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხებს

ქართველი ეთნოგრაფების ნაშრომები დიდი ხანია გასცდნენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს და საკაეშირო აღიარება ჰპოვეს. უფრო მეტიც, საქართველოს ეთნოგრაფიის რიგი მნიშვნელოვანი საკითხი ახლა უკვე უცხოელი მკითხველისთვისაც ცნობილი გახდა.

უცხოეთის სპეციალურ ორგანოებში ქართველი ეთნოგრაფები ხშირად აქვეყნებენ თავიანთ ნაშრომებს. 1956 წელს უნგრეთის ეთნოგრაფიული საზოგადოების მოამბეში დაიბეჭდა პროფ. გ. ჩიტაიას ნაშრომი „ქართული მეეენახეობის ისტორიიდან". მისივე მეორე ნაშრომი „თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში)", რომელიც მოხსენებად იყო წაკითხული 1955 წელს აგრარული ეთნოგრაფიის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონგრესზე ქ. ბერლინში, 1957 წელს დაიბეჭდა გერმანული ხალხთმცოდნეობის ინსტიტუტის მოამბის XIII ტომში. გ. ჩიტაიას გამოკვლევა „მთური მიწათმოქმედება კავკასიაში" გამოაქვეყნა უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიამ („ეთნოგრაფიული შრომები", 1958 წ. ტ. VII).

ჩეხოსლოვაკიის აკადემიის ორგანოში „ჩეხოსლოვაკური ეთნოგრაფია" დაიბეჭდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ა. რობაქიძის სტატია „ჰიათურის მუშების ახალი ყოფა", ხოლო ამავე ორგანოში შარშან გამოქვეყნდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ვ. ბარდაველიძის წერილი „ხევსურული თემი".

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის დაკვეთით აკადემიურ გამოცემებში დასაბეჭდად გ. ჩიტაიას მომზადებული აქვს ნაშრომი „ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერება საბჭოთა წყობილების 40 წლისთავზე", ხოლო ა. რობაქიძეს — „ახალი ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის შესახებ" და სხვ.

წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ეწყობა დიდი საერთაშორისო გამოფენა, სადაც ქართველ ეთნოგრაფთა ნაშრომებიცაა გაგზავნილი.

ქართული ეთნოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილი ასეთი ნაშრომების გამოქვეყნება უცხოეთის ორგანოებში და სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებთან შემოქმედებითი კონტაქტი ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საქმეს.

ვალერიან ითონიშვილი